



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება № 01-09-10/11

ქ. თბილისი

23 01 2019 წ.

2018-2019 სასწავლო წლის მეორე (გაზაფხულის) სემესტრის სასწავლო განრიგის შესახებ

“უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, “უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციის საფუძველზე, 2018-2019 სასწავლო წლის მეორე (გაზაფხულის) სემესტრის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. 2018-2019 სასწავლო წლის მეორე (გაზაფხულის) სემესტრის სააუდიტორიო მეცადინეობები (ლექცია, პრაქტიკული, ლაბორატორია, სემინარი და ა.შ.) უმაღლესი განათლების ყველა საფეხურის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) სტუდენტებისათვის, გარდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობით განსახორციელებელი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისა (ბაკალავრიატი), ჩატარდეს 2019 წლის 11 მარტიდან 2019 წლის 29 ივნისის ჩათვლით.
2. სასწავლო კომპონენტებში შუასემესტრული გამოცდა (არსებობის შემთხვევაში) ჩატარდეს მე-9 სასწავლო კვირაში – 2019 წლის 06 მაისიდან 11 მაისის ჩათვლით, მიმდინარე აქტივობები შეფასდეს შესაბამის სილაბუსში მითითებულ კვირებში, დოკუმენტური მასალის ჩაბარება მოხდეს მე-17 კვირაში - 2019 წლის 01 ივლისიდან 06 ივლისის ჩათვლით, დასკვნითი გამოცდები ჩატარდეს 2019 წლის 08 ივლისიდან 20 ივლისის ჩათვლით, ხოლო დამატებითი გამოცდები – 2019 წლის 22 ივლისიდან 27 ივლისის ჩათვლით (იხ. დანართი 1).
3. დოქტორანტურის კვლევითი კომპონენტი (პროსპექტუსი, კოლოქვიუმი) უნდა შეფასდეს ერთჯერადად. აღნიშნული, როგორც წესი, უნდა განხორციელდეს დასკვნითი გამოცდების ვადაში (იხ. დანართი 1, 2).


4. დოქტორანტურის კომპონენტში „დისერტაციის დასრულება და დაცვა“ დისერტაციის წინასწარი დაცვა, როგორც წესი, ჩატარდეს მე-8 სასწავლო კვირაში - 2019 წლის 30 აპრილიდან 04 მაისის ჩათვლით (იხ. დანართი 1).
5. სამაგისტრო ნაშრომებისა და დისერტაციების დაცვა, როგორც წესი, ჩატარდეს დასკვნითი გამოცდების ვადაში (იხ. დანართი 1).
6. პრაქტიკა, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩატარდეს სასწავლო კურსის პროგრამის (სილაბუსის) შესაბამისად (იხ. დანართი 2).
7. შუასემესტრული გამოცდების კვირაში სააუდიტორიო მეცადინეობები არ დაიგეგმოს (იხ. დანართი 1).
8. სასწავლო კომპონენტის (სასწავლო კურსი, სემინარი, პრაქტიკა და სხვა) წამყვანი პროფესორი ვალდებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებულ სტუდენტთა შეფასების ელექტრონულ უწყისში (შემდგომში – ელექტრონული უწყისი, იხ. დანართი 3) სტუდენტთა მიმდინარე აქტივობის შეფასების, შუასემესტრული გამოცდის (არსებობის შემთხვევაში), დასკვნითი ან/და დამატებითი გამოცდის (გარდა საგამოცდო ცენტრში ჩატარებული გამოცდებისა) შედეგები შეიტანოს არაუგვიანეს შეფასების/გამოცდის ჩატარების ბოლო ვადის მომდევნო ორი სამუშაო დღისა (17 საათამდე).
9. უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრი ვალდებულია ელექტრონულ უწყისში შეიტანოს კომპიუტერულ ცენტრში ჩატარებული შუასემესტრული გამოცდის, დასკვნითი ან/და დამატებითი გამოცდის შედეგები არაუგვიანეს გამოცდის, ჩატარების ბოლო ვადის მომდევნო ორი სამუშაო დღისა (17 საათამდე).
10. მაგისტრანტის ხელმძღვანელი/დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი ვალდებულია კვლევითი კომპონენტის (დოქტორანტურაში – აგრეთვე სემინარის) შეფასების შედეგი შეიტანოს ელექტრონულ უწყისში (იხ. დანართი 3-5) არაუგვიანეს შესაბამისი შეფასების/დაცვის ჩატარების ბოლო ვადის მომდევნო ორი სამუშაო დღისა (17 საათამდე).
11. სემესტრის ბოლოს, არაუგვიანეს დამატებითი გამოცდის ჩატარების ბოლო ვადის მომდევნო სამი სამუშაო დღისა (არაუგვიანეს 2019 წლის 31 ივლისისა), სასწავლო კომპონენტის წამყვანი პროფესორი, მაგისტრანტის ხელმძღვანელი/დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი აკადემიურ დეპარტამენტში ელექტრონული უწყისის ამონაბეჭდზე (2 ეგზ.) ხელმოწერით დაადასტურებს მონაცემებს. დეპარტამენტის სპეციალისტი უწყისს გაატარებს რეგისტრაციაში და გადასცემს დეკანატს.
12. დაევალოთ ფაკულტეტების დეკანებს:
  - 12.1. სემესტრის დაწყებამდე ორი კვირით ადრე სწავლების დეპარტამენტში შესათანხმებლად წარადგინონ საფაკულტეტო ბრძანებების პროექტები მიმდინარე სემესტრში საწარმოო პრაქტიკის გავლის გრაფიკის შესახებ;
  - 12.2. სემესტრის დაწყებამდე სწავლების დეპარტამენტში წარადგინონ ინფორმაცია აკადემიური ჯგუფების მიერ მიმდინარე სემესტრში გეგმურად გასავლელი სასწავლო კურსებისა (მათ შორის – სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის) და კვლევითი კომპონენტების ელექტრონული უწყისების ფორმირების დასრულების შესახებ;
  - 12.3. სემესტრის დაწყებამდე შეადგინონ შუასემესტრული გამოცდების ცხრილი დღეების, საათებისა და აუდიტორიების მითითებით;
  - 12.4. სემესტრის დაწყებამდე უზრუნველყონ სტუდენტთა აკადემიური (წინა სემესტრის/სემესტრების სწავლის შედეგების შემოწმება ან/და სასწავლო ხელშეკრულების გაფორმება) და ადმინისტრაციული (საფინანსო ხელშეკრულების გაფორმება ან/და სწავლის საფასურის გადახდა) რეგისტრაციის ჩატარება, რეგისტრირებული სტუდენტების ელექტრონულ უწყისებში ასახვა;
  - 12.5. სემესტრის დაწყებიდან ერთ კვირაში უზრუნველყონ არარეგისტრირებულ სტუდენტთა ინფორმირება;

- 12.6. სემესტრის დაწყებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა სწავლების დეპარტამენტში წარადგინონ ბრძანებების პროექტები აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტების სასწავლო კურსებისა და კვლევითი კომპონენტების დამატებით (ხელახლა) გასავლელად დაშვების თაობაზე (კრედიტების მითითებით), აგრეთვე ინფორმაცია შესაბამისი ელექტრონული უწყისების ფორმირების დასრულების შესახებ;
- 12.7. სემესტრის დაწყებამდე სწავლების დეპარტამენტში წარადგინონ საფაკულტეტო ბრძანებები კონსულტაციების დანიშვნის შესახებ;
- 12.8. სემესტრის დაწყებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა სწავლების დეპარტამენტში წარადგინონ საფაკულტეტო ბრძანებები მიმდინარე სემესტრში კომპონენტზე – „სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა“ მაგისტრანტების დაშვების შესახებ (იხ. დანართი 6);
- 12.9. სამაგისტრო საკვალიფიკაციო ნაშრომების დაცვამდე არანაკლებ ორი კვირით ადრე წარმოადგინონ ბრძანებების პროექტები საგამოცდო კომისიების შემადგენლობის დამტკიცებისა და ნაშრომების დაცვის დანიშვნის შესახებ მაგისტრანტის, თემის დასახელების, ხელმძღვანელის, რეგენზენტის, დაცვის დროისა და ადგილის, აგრეთვე დაგროვებული კრედიტების რაოდენობისა და ფინანსური ვალდებულებების შესრულების შესახებ ინფორმაციის მითითებით;
- 12.10. სემესტრის დაწყებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა სწავლების დეპარტამენტში წარადგინონ საფაკულტეტო ბრძანებები მიმდინარე სემესტრში კომპონენტზე – „დისერტაციის დასრულება და დაცვა“ დოქტორანტების დაშვების შესახებ, აკადემიური და ფინანსური დავალიანების არარსებობის მითითებით (იხ. დანართი 7);
- 12.11. სესიების დაწყებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე სწავლების დეპარტამენტში წარადგინონ სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის წარდგინების საფუძველზე მომზადებული საფაკულტეტო ბრძანებები დოქტორანტურის კვლევითი კომპონენტის კოლოკვიუმებისა და სემინარების კომისიების შემადგენლობისა და მათი მუშაობის განრიგის (ჩატარების ადგილი, კომისიების მუშაობის დაწყების დრო) შესახებ;
- 12.12. დისერტაციის დაცვამდე არანაკლებ ორი კვირით ადრე სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის წარდგინების საფუძველზე წარმოადგინონ ბრძანებების პროექტები დისერტაციების დაცვის დანიშვნის შესახებ დისერტანტის, თემის დასახელების, ხელმძღვანელის, რეგენზენტების, დაცვის დროისა და ადგილის, აგრეთვე აკადემიური და ფინანსური დავალიანების არ არსებობის შესახებ ინფორმაციის მითითებით;
- 12.13. სესიების დაწყებამდე ერთი თვით ადრე სწავლების დეპარტამენტში შესათანხმებლად წარადგინონ დასკვნითი გამოცდების ცხრილი;
- 12.14. უზრუნველყონ სამაგისტრო ნაშრომების დაცვის, დოქტორანტების სემინარის/კოლოკვიუმის, დისერტაციის წინასწარი დაცვისა და დისერტაციის დაცვის პროცესის სრული აუდიოვიდეოჩაწერა და ჩანაწერის კომპაქტ-დისკზე შენახვა, შესაბამისად, მაგისტრანტის ნაშრომის დაცვის, დოქტორანტის სემინარის/კოლოკვიუმის/დისერტაციის წინასწარი დაცვის/დისერტაციის დაცვის ოქმის დანართის სახით;
- 12.15. უზრუნველყონ აკადემიურ დეპარტამენტებთან ერთად სემესტრის განმავლობაში სტუდენტთა შეფასების უწყისების შევსების მონიტორინგი;
- 12.16. სემესტრის დამთავრებიდან ორი კვირის ვადაში სწავლების დეპარტამენტში წარადგინონ მოხსენებითი ბარათები სტუდენტთა შეფასებების უწყისების რეგისტრაციის დასრულებისა და სემესტრის შედეგების (იხ. დანართი 8) შესახებ, აგრეთვე სტუდენტთა რეიტინგული სიები;
- 12.17. სემესტრის დამთავრებიდან ერთი თვის ვადაში სწავლების დეპარტამენტში წარადგინონ სტუდენტთა სწავლების შემდეგ წელზე გადაყვანის ბრძანებათა პროექტები;
- 12.18. სემესტრის დამთავრებიდან ორი თვის ვადაში სწავლების დეპარტამენტში წარადგინონ მოხსენებითი ბარათები კურსდამთავრებულებისათვის კვალიფიკაციის მინიჭების,

ხოლო სემესტრის დამთავრებიდან ოთხი თვის ვადაში – მათთვის დიპლომისა და დიპლომის დანართების მომზადების პროცესის დასრულების შესახებ.

13. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სწავლების დეპარტამენტს (თ. წერეთელი).
14. ბრძანება გამოკრულ იქნეს თვალსაჩინო ადგილებზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

რექტორი



არჩილ ფრანგიშვილი



## სტუდენტთა მიღწევების შეფასება

## I. სასწავლო კომპონენტი

1. სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება პროგრამის თითოეულ კომპონენტში უნდა მოიცავდეს შუალედურ და დასკვნით შეფასებას.
2. შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში. კერძოდ, შუალედური შეფასების მაქსიმალური ქულაა 60, ხოლო დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულა - 40.
3. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება ამ მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრული დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.
4. შეფასების თითოეულ ფორმაში განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი:
  - დასკვნითი შეფასების მინიმალური დადებითი ქულაა: ბაკალავრიატში მაქსიმალური შეფასების 25%, ხოლო მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში – მაქსიმალური შეფასების 50%;
  - შუასემესტრული გამოცდის მაქსიმალური ქულაა 30. ბაკალავრიატში მინიმალური დადებითი შეფასებაა 7,5 ქულა, ხოლო მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში 15 ქულა;
  - მიმდინარე აქტივობის მაქსიმალური ჯამური შეფასებაა 30 ქულა, მინიმალური ჯამური დადებითი შეფასება – 15 ქულა.
5. სემესტრში სასწავლო კურსში (საგანში) თემატური პროექტის არსებობისას მისი შეფასების მაქსიმალური ქულაა 15; ორი თემატური პროექტის არსებობისას პირველი თემატური პროექტის შეფასების მაქსიმალური ქულაა 5, ხოლო მეორე თემატური პროექტის შეფასების მაქსიმალური ქულა - 10.
6. სასწავლო კურსში 1 თემატური პროექტის არსებობისას იგი ჩაბარდება სააუდიტორიო მეცადინეობების დამთავრების შემდეგ, სესიებამდე ერთი კვირის განმავლობაში; 2 თემატური პროექტის არსებობისას პირველი თემატური პროექტი ჩაბარდება შუასემესტრული გამოცდებისათვის გამოყოფილ კვირაში, ხოლო მეორე – სესიებამდე ერთი კვირის განმავლობაში.  
საკურსო სამუშაოს/საკურსო პროექტის შეფასების მაქსიმალური ქულაა 15.
7. ელექტრონულ უწყისში მითითებული უნდა იყოს, თუ შუალედური შეფასების რომელ კომპონენტში მოეთხოვება სტუდენტს დოკუმენტური მასალის (ლაბორატორიული/პრაქტიკული/ნახაზი/ნახატი/ თემატური პროექტი/პროექტები/ საკურსო სამუშაო/საკურსო პროექტი/პრაქტიკის ანგარიში და ა.შ.) ჩაბარება.
8. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელმაც შუალედური შეფასების თითოეულ კომპონენტში დააგროვა არანაკლებ მინიმალური დადებითი შეფასებისა, ამასთან შეასრულა და დროულად ჩააბარა პროგრამით განსაზღვრული სამუშაოები დოკუმენტური მასალის სახით მაინც.
9. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტების სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება უნდა დასრულდეს იმავე სემესტრში, რომელშიც იგი ხორციელდებოდა.
10. შეფასებისას გამოყენებული უნდა იყოს შედეგის შეფასებისათვის რელევანტური მეთოდი/მეთოდები და კრიტერიუმები.
11. შეფასების სისტემა უშვებს:

- ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:
- ა.ა) (A) ფრიადი – 91-100 ქულა;
  - ა.ბ) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;
  - ა.გ) (C) კარგი – 71-80 ქულა;
  - ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;
  - ა.ე) (E) საკმარისი – 51-60 ქულა.
- ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:
- ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
  - ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
12. FX-ის მიღების შემთხვევაში უნივერსიტეტი (დეკანატი, საგამოცდო ცენტრი) ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.
  13. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით გამოცდაზე მიღებული ქულათა რაოდენობა.
  14. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.
  15. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, ან თუ სტუდენტი ვერ გადალახავს დასკვნით/დამატებით გამოცდაზე მინიმალური კომპეტენციის ზღვარს, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.
  16. პროგრამით განსაზღვრული სამუშაოების (ლაბორატორიული/სამუშაო/პრაქტიკული სამუშაო/საკურსო სამუშაო, საკურსო პროექტი, პრაქტიკის ანგარიში, სემინარი, საბაკალავრო კვლევითი პროექტი/ნაშრომი და ა. შ.) შესრულების და შესაბამისი დოკუმენტური მასალის ჩაბარების აღსანიშნავად, ელექტრონულ უწყისში სააუდიტორიო მეცადინეობების დასრულების შემდეგ, სესიებამდე ერთი კვირის განმავლობაში გაიხსნება შესაბამისი ფანჯარა (შემდგომში დოკუმენტური მასალის ფანჯარა) სათანადო მონიშვნის გაკეთების მიზნით. იგი დაიხურება მომდევნო კვირის დასაწყისიდან ორ სამუშაო დღეში (17 საათზე).
  17. დასკვნითი გამოცდის/დასკვნითი შეფასების/დაცვის უჯრა გაიხსნება სესიების პერიოდში, სტუდენტის მიერ დასკვნით გამოცდაზე გასასვლელად აუცილებელი ქულების დაგროვების ან/და დოკუმენტური მასალის ჩაბარების აღსანიშნავად უწყისში სათანადო მონიშვნის არსებობის შემთხვევაში.
  18. პედაგოგი ვალდებულია, მეცადინეობის დაწყებამდე გაიაროს ელექტრონული რეგისტრაცია, შევიდეს აუდიტორიაში და ჩაატაროს მეცადინეობა სილაბუსის შესაბამისად. ჯგუფის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, იგი ვალდებულია არ დატოვოს აუდიტორია 15 (თხუთმეტი) წუთის განმავლობაში, რის შემდეგაც ინფორმაცია მიაწოდოს დეკანატს და გააკეთოს აღნიშვნა რეგისტრაციის სისტემაში.
  19. სასწავლო კურსის წამყვანი პროფესორი ვალდებულია, ელექტრონულ უწყისში შეიტანოს სტუდენტის მიერ მიღებული შეფასება; სასწავლო კურსის წამყვანი პროფესორი ვალდებულია, უზრუნველყოს სათანადო სასწავლო მასალის მიწოდება და სტუდენტის მიერ შეფასების მიღების შესაძლებლობა იმ შემთხვევაშიც, თუ სასწავლო ცხრილის მიხედვით მეცადინეობის ან/და შეფასების ჩატარების გეგმური ვადა ემთხვევა უქმე დღეს; აღნიშნულის რეალიზაციისთვის დასაშვებია დამატებითი მეცადინეობების/შეფასების ჩატარება. თემების გადანაწილება ან სხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის ნორმალურ მსვლელობას.

20. პრაქტიკა, რომლის ჩატარების ვადები სააუდიტორიო მეცადინეობების ჩატარების ვადებს ემთხვევა, ისევე შეფასდება, როგორც დამოუკიდებელი სასწავლო კურსი ან მისი კომპონენტი (პროგრამით განსაზღვრული ფორმატის შესაბამისად).
21. პრაქტიკა, რომლის ჩატარების ვადები სააუდიტორიო მეცადინეობების ჩატარების ვადებს არ ემთხვევა, შეფასდება სილაბუსში აღწერილი და სწავლების დეპარტამენტში შეთანხმებული წესით, „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის № 3 ბრძანების მოთხოვნათა შესაბამისად.

## II. სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი

1. დისერტაცია, სამაგისტრო პროექტი/ნაშრომი, შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევარი ან სხვა სამეცნიერო პროექტი/ნაშრომი უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას. დისერტაცია, სამაგისტრო პროექტი/ნაშრომი, შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევარი ან სხვა სამეცნიერო პროექტი/ნაშრომი უნდა შეფასდეს ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით).
2. სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის, შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევარის ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის შეფასება შეიძლება პირველი მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრული სისტემით.
3. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის/კომპონენტების შეფასების სისტემაა:
  - ა) ფრიადი (*summa cum laude*) – შესანიშნავი ნაშრომი;
  - ბ) ძალიან კარგი (*magna cum laude*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
  - გ) კარგი (*cum laude*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
  - დ) საშუალო (*bene*) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;
  - ე) დამაკმაყოფილებელი (*rite*) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;
  - ვ) არადამაკმაყოფილებელი (*insufficient*) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო;
  - ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (*sub omni canone*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.
4. არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს უფლება ეძლევა ერთი წლის განმავლობაში წარადგინოს გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომი, ხოლო სრულიად არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში, დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.
5. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტისათვის (FX) ვერ ჩააბარა ან არადამაკმაყოფილებელი (*insufficient*) მიღების შემთხვევაში, მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ხოლო (F) ჩაიჭრა ან სრულიად არადამაკმაყოფილებელი (*sub omni canone*) შედეგის მიღების შემთხვევაში, მაგისტრანტი კარგავს იგივე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას.



6. პროგრამით განსაზღვრული სამუშაოების (პროსპექტუსი, თეორიული-ექსპერიმენტული კვლევა/კოლოქვიუმი, სამაგისტრო საკვალიფიკაციო ნაშრომი და ა.შ., გარდა დოქტორანტურის კომპონენტისა – „დისერტაციის დასრულება და დაცვა“) შესრულების და შესაბამისი დოკუმენტური მასალის ჩაბარების აღსანიშნავად, ელექტრონულ უწყისში სააუდიტორიო მეცადინეობების დასრულების შემდეგ, სესიებამდე ერთი კვირის განმავლობაში გაიხსნება შესაბამისი ფანჯარა სათანადო მონიშვნის გაკეთების მიზნით. იგი დაიხურება მომდევნო კვირის დასაწყისიდან ორ სამუშაო დღეში (17 საათზე).
7. დოქტორანტურის კომპონენტში - „დისერტაციის დასრულება და დაცვა“ უწყისში დოკუმენტური მასალის ფანჯრები გაიხსნება მე-9 სასწავლო კვირის დასაწყისში და დაიხურება სადისერტაციო საბჭოში დისერტაციის ავტორეფერატის წარდგენის ბოლო ვადის მომდევნო ორ სამუშაო დღეში (17 საათზე), ხოლო შესაბამისი დასკვნითი შეფასების (დაცვის) უჯრა გაიხსნება სესიების პერიოდში, სტუდენტის მიერ დოკუმენტური მასალის (დისერტაციის) ჩაბარების აღსანიშნავად უწყისში სათანადო მონიშვნის არსებობის შემთხვევაში.
8. მაგისტრატურის კომპონენტში - „სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა“ დასკვნითი შეფასების (დაცვის) უჯრა გაიხსნება სესიების პერიოდში, სტუდენტის მიერ დოკუმენტური მასალის (სამაგისტრო ნაშრომის) ჩაბარების აღსანიშნავად უწყისში სათანადო მონიშვნის არსებობის შემთხვევაში.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
 ..... ფაკულტეტის  
 № ..... აკადემიური ჯგუფის სტუდენტთა სასწავლო კურსის შეფასების ელექტრონული უწყისი №

სწავლების წელი:  სემესტრი:  სასწავლო წელი:   
 სწავლების საფეხური:  მაკალაფირიატი  მაგისტრატურა  დოქტორატურა  
 სასწავლო კურსის დასახელება: .....

წამყვანი პროფესორი

ECTS კრედიტი:  სწავლების ფორმა და კვირეული დატვირთვა, სთ:

ლექცია:  პრაქტიკული:  ლაბორატორიული:  სხვა:

პრაქტიკა:  სემინარი:  საკურსო პროექტი/ სამუშაო:

№	გვარი, სახელი	მიმდინარე აქტივობა/კვირა													შესაყვების ფორმა და ხანგრძლივობა	შესაყვების ფორმა და ხანგრძლივობა	დამატებითი	შეფასება		
		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13					14	15
-	მაქსიმალური ქულა																	დამატებითი	დამატებითი	დამატებითი
1																		დამატებითი	დამატებითი	დამატებითი
2																		დამატებითი	დამატებითი	დამატებითი
3																		დამატებითი	დამატებითი	დამატებითი

სასწავლო კურსის წამყვანი პროფესორი	ინიც. და გვარი	ხელმოწერა	ინიც. და გვარი	თარიღი	ფაკულტეტის დეკანი
დებარტამენტის უფროსი	ინიც. და გვარი	ხელმოწერა	ინიც. და გვარი	თარიღი	ხელმოწერა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

..... ფაკულტეტის

№ ..... აკადემიური ჯგუფის მამბისტირანტების/დოქტორანტების სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შემფასების ელექტრონული უწყისი № .....

სწავლების წელი:  სემესტრი:  სასწავლო წელი:

კომპონენტის დასახელება:

ხელმძღვანელი:

ECTS   
კრედიტი:

№	გპარი, სახელი	დოკუმენტური მასალა	დასკვნითი შეფასება	
			ზღნძ	დენდენდ
1	მაქსიმალური ქულა	-	100	-
2				
3				
4				
5				
შენიშვნა				

ხელმძღვანელი:	ინიგ. და გვარი	ხელმოწერა	თარიღი	ფაკულტეტის დეკანი
დეპარტამენტის უფროსი	ინიგ. და გვარი	ხელმოწერა	რეგ. №	ინიგ. და გვარი
			თარიღი	ხელმოწერა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
 ..... ფაკულტეტის

№ ..... აკადემიური ჯგუფის დოქტორანტის/დოქტორანტების სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის "დისერტაციის დასრულება და დაცვა" შეფასების ელექტრონული უწყისი № ....

სწავლების წელი:  სემესტრი:  სასწავლო წელი:

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ECTS   
 კრედიტი:

№	გვარი, სახელი	დისერტაციის დასრულება და დაცვა	დოკუმენტური მასალა	დასკვნითი შეფასება	
				ქულა	შეფასება
1	მაქსიმალური ქულა	-	-	100	-
2					
<b>შენიშვნა</b>					

სამეცნიერო ხელმძღვანელი:	ინიც. და გვარი	ხელმოწერა	თარიღი	ფაკულტეტის დეკანი
დეპარტამენტის უფროსი	ინიც. და გვარი	ხელმოწერა	რეგ. №	ინიც. და გვარი
				ხელმოწერა





საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ფაკულტეტი

2018-2019 სასწავლო წლის მეორე (გზავი) სემესტრის შედეგები

მაჩვენებლები	სწავლების წელი	ბაკალავრიატი	მაგისტრატურა	დოქტორანტურა
სტუდენტთა საერთო რაოდენობა	I			
	II			
	III		-	
	IV		-	
	სულ			
სააუდიტორიო მეთოდების საერთო რაოდენობა	I			
	II			
	III		-	
	IV		-	
	სულ			
კონსულტაციების საერთო რაოდენობა	I			
	II			
	III		-	
	IV		-	
	სულ			

სტუდენტთა რაოდენობა, რომელთა საშუალო შეწონილი შეფასება შეადგენს, ქულა	0-50		51-60		61-70		71-80		81-90		91-100		შუასემს ტრული გამოცდა	შუასემს ტრული გამოცდა	დასკვნი თი გამოცდა	მიმდინარე შეფასება	დასკვნი თი გამოცდა	
	0-50	51-60	51-60	61-70	61-70	71-80	71-80	81-90	81-90	91-100	91-100							
I																		
II																		
III																		
IV																		
სულ																		
სტუდენტთა რაოდენობა, რომლებმაც კერ გადალახეს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი	შუასემს ტრული გამოცდა	შუასემს ტრული გამოცდა	შუასემს ტრული გამოცდა	მიმდინარე შეფასება	დასკვნი თი გამოცდა	დასკვნი თი გამოცდა	დასკვნი თი გამოცდა	დასკვნი თი გამოცდა	დასკვნი თი გამოცდა	დასკვნი თი გამოცდა	დასკვნი თი გამოცდა	დასკვნი თი გამოცდა	შუასემს ტრული გამოცდა	შუასემს ტრული გამოცდა	დასკვნი თი გამოცდა	მიმდინარე შეფასება	დასკვნი თი გამოცდა	
	I																	
	II																	
	III																	
	IV																	
სულ																		
სტუდენტების მონაწილეობით გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების რაოდენობა	შუასემს ტრული გამოცდა	შუასემს ტრული გამოცდა	შუასემს ტრული გამოცდა	მიმდინარე შეფასება	დასკვნი თი გამოცდა	დასკვნი თი გამოცდა	დასკვნი თი გამოცდა	დასკვნი თი გამოცდა	დასკვნი თი გამოცდა	დასკვნი თი გამოცდა	დასკვნი თი გამოცდა	დასკვნი თი გამოცდა	შუასემს ტრული გამოცდა	შუასემს ტრული გამოცდა	დასკვნი თი გამოცდა	მიმდინარე შეფასება	დასკვნი თი გამოცდა	
	I																	
	II																	
	III																	
	IV																	
სულ																		
კონფერენციებში, გამოფენებში და ა.შ. მონაწილე სტუდენტების რაოდენობა	შუასემს ტრული გამოცდა	შუასემს ტრული გამოცდა	შუასემს ტრული გამოცდა	მიმდინარე შეფასება	დასკვნი თი გამოცდა	დასკვნი თი გამოცდა	დასკვნი თი გამოცდა	დასკვნი თი გამოცდა	დასკვნი თი გამოცდა	დასკვნი თი გამოცდა	დასკვნი თი გამოცდა	დასკვნი თი გამოცდა	შუასემს ტრული გამოცდა	შუასემს ტრული გამოცდა	დასკვნი თი გამოცდა	მიმდინარე შეფასება	დასკვნი თი გამოცდა	
	I																	
	II																	
	III																	
	IV																	
სულ																		